ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №482028

ნომერი: AR197343

თარიღი : 10.12.2012

გაცემის თარიღი : 04.01.2013

გაცნობის თარიღი : 16.04.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბუდაპეშტის I შესახვევი N6./ ქალაქი თბილისი , შესახვევი ბუდაპეშტის I , N 8 , (ნაკვეთი N5/43) / ქალაქი თბილისი , შესახვევი ბუდაპეშტის I , N 8 , (ნაკვეთი N5/44) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მუსაშვილი პ/ნ 01023003865
- სან-ზონა 2ა კორპ.ბ#31

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ თქვენი საკითხი განხილული იქნა “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2012 წლის 19 დეკემბრის #50 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზე ქ. თბილისში, ვაკე–საბურთალოს რაიონში, ბუდაპეშტის I შესახვევის ##6, 8–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.10.14.005.055) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4–13 გადაწყვეტილების #35–ე მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრული y–ის (0,4) შემცირებას 0,25–მდე ეთქვა უარი. დანართის სახით გიგზავნით ზემოთ აღნიშნული სხდომის ოქმიდან ამონარიდს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge